პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 23 მაისი, 1944 წ. № 103 (7047). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მზრუნველობა და დახმარება ფრონტელთა ოჯახებს (მოწინავე).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 21 მაისის ოპერატიული ცნობიდან და 22 მაისის ოპერატიული ცნობა. (1-ლი გვერდი).
პატრიარქის მოსაყდრის მიტროპოლიტ ალექსის წერილი სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის საბჭოთა კავშირის მარშალ ი. ბ. სტალინისადმი. (1-ლი გვერდი).
პროფ. ოსკარ ლანგეს განცხადება. (1-ლი გვერდი).
ქართული ლიტერატურის საღამოები მოსკოვში. (1-ლი გვერდი).
მ. საკაარული—ახალგაზრდა პატრიოტის წერილები. (მე-2 გვერდი).
ბ. კიზირია—გამოცდები კარგად დაიწყო. (მე-2 გვერდი).
სინელნიკოვოს რაიონის კოლმეურნეთა დელეგაცია გურჯაანში. (მე-2 გვერდი).
უცხოეთის პრესის ფურცლებზე—იუგოსლავიის პარტიზანები. (მე-2 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები. (1-ლი და მე-2 გვერდი).

მზრუნველობა და დახმარება ფრონტელთა ოჯახებს

დიდი სტალინის მხედართმთავრობით წითელმა არმიამ ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. „შაგრამ წითელი არმიის წარმატებანი,—ამბობს ამხანაგი სტალინი,—შეიძლებოდა მტკიცე არ აღმოჩენილიყო და ისიი გაქარწყლებულიყო მოწინააღმდეგის პირველივე სერიოზული კონტრდარტყმით, რომ წითელ არმიას ზურგს არ უმაგრებდეს მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი, მთელი ჩვენი ქვეყანა“.

მშობლიური არმიისადმი ამ მზრუნველობის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა ფრონტელთა ოჯახებისადმი დახმარება.

ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი ჩვენი ხალხი დიდ მზრუნველობას უწევენ სამხედრო მსახურთა ოჯახებს. ეს მზრუნველობა მრავალნაირია: სახელმწიფო დახმარებისა და პენსიების მიცემა, შრომითი მოწყობა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. ფრონტელთა ოჯახები, რომლებიც სახელმწიფო დახმარებასა და პენსიებს იღებენ, თავისუფლდებიან სამხედრო გადასახადისაგან, სარგებლობენ შეღავათებით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, სწავლის, ბინის ქირის, საბავშვო დაწესებულებებში ბავშვების კვებისათვის გათვალისწინებული თანხების გადახდის საქმეში.

დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველოს სს რესპუბლიკის ფრონტელთა ოჯახებ ს სახელმწიფო დახმარებისა და პენსიების სახით მიეცა 535 მილიონ მანეთზე მეტი. 1943 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან გათავისუფლებული იყო 136.841 ოჯახი.

საქართველოს მშრომელებმა იციან, რომ „ფრონტელთა ოჯახებისათვის ზრუნვა წითელი არმიისათვის მთელი ჩვენი ზრუნვის ნახევარია“. ამიტომ ისინი არაფერს იშურებენ საშობლოს დამცველთა ოჯახების დასახმარებლად. ამ ზრუნვას გრძნობენ ფრონტელებიც. „დარწმუნებული ვარ, — იწერება ფრონტიდან წითელარმიელი კაჩხოევი, — რომ ჩემი ოჯახი მიტოვებული არ არის, რომ მასზე ზრუნავენ და დახმარებას გაუწევენ გაჭირვების დროს. ყოველივე ეს მმატებს მხნეობას და ენერგიას ვურტყა საზიზღარ მტერს“.

ასეთ წერილებს მრავლად ღებულობენ მეომრებისაგან სამხედრო მოსამსახურეთა სახელმწიფო უზრუნველყოფის განყოფილებები.

წელს კიდევ უფრო მეტი დახმარება გაეწევა ფრონტელთა ოჯახებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

სამხედრო მსახურთა 201 ოჯახს უკვე აუშენდა ახალი სახლი, 2.880 ოჯახს მიეცა ახალი საცხოვრებელი ბინა, 13.521 ოჯახს ბინა შეუკეთდა, ხოლო 4.011 ოჯახს სამშენებლო მასალა მიეცა ბინების შესაკეთებლად. სამხედრო მსახურთა ოჯახებს უფასოდ მიეცათ 158 ძროხა, 662 თხა და ცხვარი. ორჯერ ჩატარდა ფრონტელთა ოჯახების დახმარების კვირეული. შეგროვებულია 2.228.874 კილოგრამი ხორბალი, 204.372 კილოგრამი კარტოფილი, 37.794 კილოგრამი ლობიო და სხვა პროდუქტები.

სამშობლოს დამცველთა ოჯახებისადმი მზრუნველობა პირველ რიგში აკისრიათ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის განყოფილებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია რაისაბჭოების აღმასკომებთან. საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ფრონტელთა ოჯახებისათვის კანონით გათვალისწინებული დახმარების აღმოჩენის საქმეში კარგი მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნენ ამ განყოფილებათა გამგეები: ამხ. ბულეიშვილი (თბილისი), ჩაკვეტაძე (ქუთაისი), თავდიშვილი (ლანჩხუთი), დობორჯგინიძე (მახარაძე), იოსელიანი (წყალტუბო) და სხვ.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის ზოგიერთი განყოფილება არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. ასეთებია მაგალითად, ყვარლის, ყაზბეგის, გურჯაანის, თიანეთის და ზოგიერთი სხვა განყოფილებები. ამ განყოფილებათა გამგეები ინიციატივას არ იჩენენ და საჭირო ღონისძიებებს არ ანხორციელებენ სამხედრო ოჯახებისათვის დახმარების საქმეში. მათ არც სამუშაო გეგმა აქვთ. განყოფილებათა მუშაკები სისტემატურად უნდა სწავლობდნენ ფრონტელთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებს, მათ აღრიცხვაზე უნდა აიყვანონ ფრონტელთა ის ოჯახები, რომლებსაც პირველ რიგში ესაჭიროებათ დახმარება, და შეუქმნან ნორმალური ცხოვრების ყოველგვარი პირობები. საჭიროა განყოფილებებს ამ საქმეში სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება აღმოუჩინონ რაისაბჭოების აღმასკომებმა. ამით კიდევ უფრო გავაძლიერებთ ფრონტისადმი დახმარებას და დავაჩქარებთ დაჭრილი გერმანელი მხეცის განადგურებას მის საკუთარ ბუნაგში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

21 მაისის ოპერატიული ცნობიდან

21 მაისის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

20 მაისის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 52 თვითმფრინავი.

22 მაისის ოპერატიული ცნობა

22 მაისის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

21 მაისის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 17 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ ტირასპოლის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის რამდენიმე იერიში. ბრძოლის მსვლელობაში მოსპობილია 300-მდე ჰიტლერელი და გერმანელთა სამი ჯავშანტრანსპორტიორი. წამოყვანილია ტყვეები. ერთი სოფლის რაიონში ზემდგ ბასლოვის ტანკი ჩასაფრებული იყო ჩვენი თავდაცვის წინა კიდეზე. დილაადრიან გერმანელებმა იერიში მოიტანეს, ჩვენმა ტანკისტებმა სროლა ატეხეს და გერმანელთა ორ ტანკს ცეცხლი წაუკიდეს. მოწინააღმდეგის დანარჩენი ტანკები სწრაფად გაბრუნდნენ უკან. მათს უკანდახევას იფარავდა თვითმავალი ზარბაზანი. მასლოვის ტანკი საფრიდან გამოვიდა და მტრის ქვეშეს გვერდის ნაწილში ესროლა. გერმანელებმა თვითმავალი ზარბაზანი მიატოვეს და გაიქცნენ. ჩვენმა ტანკისტებმა თვითმავალი ზარბაზანი ტანკს მიაბეს და ბუქსირით მიიტანეს თავიანთ ნაწილში.

* * *

ქალაქ სტანისლავის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელები ცდილობდნენ ბრძოლით მოეხდინათ დაზვერვა. ჰიტლერელებს ძლიერი საარტილერიო და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეხვდნენ და მათ უკან დაიხიეს ისე, რომ ჩვენი თავდაცვის წინა კიდემდე არ მოულწევიათ.

საბჭოთა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 2 თვითმფრინავი. გარდა ამისა, საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ ლუცკის ჩრდილო-დასავლეთით 10-მა მზვერავმა ლეიტენანტ პოდობინის მეთაურობით მოწინააღმდეგის განლაგებაში შეაღწია. ჩვენმა მებრძოლებმა ღამით შეაღწიეს დიდ დასახლებულ პუნქტში, ტყვედ წამოიყვანეს გერმანელი ფელდფებელი და თავიანთი ნაწილის შტაბში მოიყვანეს.

* * *

მინსკის ოლქში მოქმედმა სტალინის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა ერთი თვის განმავლობაში ლიანდაგიდან გადაგდო გერმანელთა 12 სამხედრო ეშელონი. გზატეხილებსა და ყამირ გზებზე პარტიზანებმა დაწვეს 19 ხიდი და ააფეთქეს 11 ავტომანქანა. ამოჭრილია მოწინააღმდეგის კავშირგაბმულობის 82 კილომეტრი სატელეგრაფო-სატელეფონო ხაზი. გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლებში და საფრენიდან სროლით მოკლული და დაჭრილია 200-ზე მეტი ჰიტლერელი. პარტიზანული რაზმები „ისკრა“ და „ზნამია“ შეერთებული ძალებით თავს დაესხნენ გერმანელთა სამხედრო ეშელონს, რომელიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდა. დამწვარია 26 ვაგონი და პლატფორმა სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად.

* * *

რუმინეთის მე-3 ქვეითი დივიზიის ასეულის ტყვე მეთაურმა კაპიტანმა იონ მატრეკიამ გვიამბო: „რუმინეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შემოსვლამ საბოლოოდ დაარწმუნა ბევრი რუმინელი, რომ გერმანიამ ომი წაგო. ჩვენი ბატალიონის ოფიცრები შემდგომს წინააღმდეგობას არა მარტო უსარგებლოდ, არამედ რუმინეთისათვის დამღუპველადაც სთვლიდნენ.

ჩვენი ჯარები ცუდად არიან შეიარაღებულნი. რუმინეთში არის ქვემეხის მარტო ერთი ქარხანა, მაგრამ იმასაც უკვე კარგა ხანია გერმანელები ჭეშლობენ და მთელი პროდუქცია თვითონ მიაქვთ. მესამე დივიზიას სრულებით არა აქვს მსხვილი ყალიბის ტანკსაწინააღმდეგო არტილერია. ძალიან ცოტაა ავტომატური იარაღი. არ კმარა ვაზნებიც. რუმინეთის ფაქტიური ბატონ-პატრონია კილინგერი—გერმანელი ნაცვალი ბუქარესტში. ზოგიერთი ოფიცერი ანტონესკუს შესახებ ამბობს, რომ იგი მორიგი ოფიცერია ჰიტლერის ამ ნაცვალთან. ანტონესკუ მსხვერპლად სწირავს რუმინელ ჯარისკაცებს, ოღონდ კი გერმანელებს სამუალება მისცეს ჩვენი ქვეყნიდან გაიტანონ რაც შეიძლება მეტი ნავთი, ნედლეული და სურსათი. მაგრამ ახლა დღითი-დღე მატულობს იმ რუმინელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა რიცხვი, რომელთაც არ სურთ იბრძოლონ გერმანელთა მხარეზე“.

* * *

ჰიტლერელები ავრცელებენ შემდეგ ჭორებს: „გერმანიისა და რუმინეთის ჯარები, რომლებიც ევაუირებული იყვნენ ყირიმიდან, განლაგებული არიან რუმინეთის შავი ზღვის სანაპიროს ქალაქებში. ისინი გადაყვანილი იქნებიან აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთუბანზე“.

ასეთი უხეში ფანდის შემწეობით გერმანელებს სურთ დამალონ ყირიმში თავიანთი დამარცხების ნამდვილი მასშტაბი. მათ ეშინიათ აშკარად ილაპარაკონ გერმანელთა და რუმინელთა ჯარების განადგურების შესახებ ყირიმის ნახევარკუნძულზე. ყოველ შემთხვევაში ყირიმში დახოცილ ჰიტლერელებს უკვე აღარ ესაჭიროებათ ბინები. 60 ათასზე მეტმა გერმანელმა და რუმინელმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა, რომლებიც ჩვენი ჯარების მიერ ტყვედ არიან წამოყვანილნი, ბინა სამხედრო ტყვეთა ბანაკებში მიიღეს. ხოლო გერმანელთა ის უმნიშვნელო ნაწილი, რომელმაც მოახერხა ყირიმის ნახევარკუნძულიდან გაქცევა, აღვილად მოთავსდება რომელიც ვნებავთ რუმინეთ სოფლებში. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის საბრძოლო უბნის იმ გერმანელ გენერლებს, რომლებიც ამ ვაი-მეიმრეს მიიღებენ, გაცალებთ მეტი თავსამტვრევი საქმე ექნებათ. ბოლმოოღებელი გერმანელები გაავრცელებენ ცნობას ყირიმში ფაშისტთა ჯარების საშინელი განადგურების შესახებ და ათიათასობით გერმანელი და რუმინელი ჯარისკაცების უსახელო დაღუპვის შესახებ.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. მიხეილ ალექსანდრეს-ძე მაჯსიმოვი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ირანში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე მიხაილოვი მისი ავადმყოფობის გამო გათავისუფლა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ირანში.

უკანასკნელი ცნობები

პრეზიდენტ რუზველტის წერილი ა. შ. შტატების კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 22 მაისი (საკადესი). რუზველტმა ა. შ. შტატების კონგრესს გაუგზავნა მე-15 ანგარიში სესხად ან იჯარით გადაცემის ოპერაციების შესახებ 1944 წლის 31 მარტამდე და თან გააყოლა შემდეგი წერილი:

„გაერთიანებული ერების ძალები ემზადებიან ნაცისტების მიერ ოკუპირებული ევროპისათვის ახალი, უფრო მძლავრი დარტყმებისათვის შეტევის ბაზებიდან დასავლეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით. კომბინირებულ ოპერაციებში მონაწილეობას იღებენ ბევრი ეროვნების მებრძოლები. ისინი აღჭურვილი არიან უაღრესად მძლავრი იარაღით, როგორის მიცემაც კი შეუძლიათ გაერთიანებული ერების შეერთებულ რესურსებსა და გამომგონებლობას. ისინი ზზად აიამჟამედონ თავიანთი ნალები, რათა განაგრძონ ნაცისტებისა და გერმანიის სამხედრო მანქანის განადგურების პროცესი“.

რუზველტი აღნიშნავს, რომ მომავალ ოპერაციებში მონაწილეობას მიიღებენ გაერთიანებული ერების როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო და საჰაერო ძალები და განაგრძობს:

„გაერთიანებული ერების საბრძოლო თანამეგობრობა მნიშვნელოვნად განმტკიცდა სესხად ან იჯარით გადაცემის პრინციპის ურთიერთგანზორციელების შედეგად. ამ გადაცემის მეოხებით ჩვენ სხვა გაერთიანებულ ერთა ჯარების ყოველი მეომრისათვის, რომელიც ამერიკელი მებრძოლის მხარდამხარ იბრძვის, უზრუნველვყავით ყოველივე, რაც საჭიროა იმისათვის, რომ უფრო ძლიერ დავარტყათ საერთო ჯერს. სესხად ან იჯარით გადაცემის პრინციპის საფუძველზე გაწეული ურთიერთდახმარების მეოხებით ამერიკის ჯარები ასეთსავე დახმარებას იღებენ ჩვენი მოკავშირეებისაგან ყოველივე იმით, რაც მათ აქვთ და რაც ჩვენ გვესაჭირება.

აღმოსავლეთ ევროპის ფრონტზე იარაღი და სხვა სამხედრო მასალა, რასაც შეერთებული შტატები და ერთა ბრიტანული თანამეგობრობა აწვდიან, განაგრძობენ საბჭოთა არმიების გაძლიერებას ახალი დარტყმებისათვის, რომლებიც შეფარდებულ იქნებიან ჩვენს შეტევასთან. შორეულ აღმოსავლეთში და წყნარ ოკეანეში ჩვენი შეტევითი ოპერაციები ახალ გვინეაზე, ბირმაში და იაპონიის გამგებრებული კუნძულების წინააღმდეგ წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში ამტკიცებენ, რომ ბრძოლა იაპონიისათვის არ ელოდება ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებით დამთავრებას.

ჩვენ დახმარებას ვუწევთ ჩინეთს სრულ შესაძლებლობამდე. ჩვენ გადამწყვეტი ბრძოლები მოგველის. ჩვენი ამერიკული არმიების, ფლოტისა და ავიაციისათვის, აგრეთვე სხვა გაერთიანებული ერების ჯარებისათვის ამჟამად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე, რომ განვაგრძოთ ჩვენი მებრძოლი ამხანაგების უზრუნველყოფა ახალი სამხედრო მასალებით, რომლებიც მათ ესაჭიროებათ როგორც მათი საკუთარი რესურსების დამატება. როდესაც ხმის დიდი უმეტესობით გააგრძელა კანონი საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის შესახებ, კონგრესმა კვლავ აღიარა ეს ფაქტი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთელი ჩვენი ძალები გავაერთიანეთ მსოფლიოს სხვა თავისუფალი ხალხების მთელ ძალებთან, ჩვენ გადავეცით თავდაცვიდან შეტევაზე, დამარცხებებიდან გამარჯვებებზე. შევინარჩუნეთ რა ახლა ჩვენი ერთიანობა, უსათუოდ მოვიპოვებთ საბოლოო გამარჯვებას. განვაგრძობთ რა ჩვენს ერთიანობას ომის შემდეგ, შეძლებთ უზრუნველყოთ მშვიდობიანობა, რომლის დროსაც კაცობრიობას საშუალება ეძლება თავისუფლად და უშიშრად იცხოვროს და იმუშაოს“.

ბუღგარეთის მთავრობის გადადგომა

სტამბოლი, 19 მაისი (საკადესი). (მიღებულია დაგვიანებით). აქ მიღებულია ცნობა, რომ ბულგარეთის მთავრობა, რომელსაც სოფიაში ბოკილოვი ედგა, დღეს გადადგა.

პოლკოვნიკი მ. ზ. ყაზიშვილი
დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

წითელარმიელი შ. ჯ. ცერცვაძე
დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ლეიტენანტ ი. ნ. გვენცაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა ლეიტენანტ ივანე ნიკოლოზის-ძე **გვენცაძეს.**

პოლკოვნიკი მ. ზ. ყაზიშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის პოლკოვნიკი მიხეილ ზურაბის-ძე **ყაზიშვილი** დაჯილდოებულია **ლენინის** ორდენით.

პარტიზანთა დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია უკრაინის სსრ პარტიზანთა დიდი ჯგუფი.

სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არიან გიორგი სიმონის-ძე **მექოკიშვილი,** ალექსი ოთარაშვილი და ივანე მათეს-ძე **რეხვიაშვილი.**

პროფ. ოსკარ ლანგეს განცხადება

ამერიკელმა პროფესორმა ბ-ნმა ოსკარ ლანგემ, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება, ა. წ. 21 მაისს საკადესს წარმომადგენელს განუცხადა შემდეგი:

„მე ჩამოვედი პოლონელ პატრიოტთა კავშირის მოწვევით, რათა მენახულებინა პოლონელთა არმია სსრ კავშირში და გავცნობოდი პოლონელთა მდგომარეობას ამ ქვეყანაში. მე ვმოქმედებ როგორც კერძო ამერიკელი მოქალაქე და არავისი წარმომადგენელი არა ვარ, გარდა ჩემი თავისა. ჩემ მიერ საჭმის შესწავლა მდგომარეობდა სსრ კავშირში მყოფ პოლონელ მოღვაწეებთან პირად საუბრებში, არმიის, პოლონური სკოლებისა და საბავშვო სახლების დათვალიერებაში. მე ვინახულე აგრეთვე მარშალი სტალინი და ბ-ნი მოლოტოვი.

არმიაში ყოფნის დროს მე 15-ზე მეტი არაოფიციალური შეხვედრა მქონდა ჯარისკაცებთან. მე ველაპარაკე ჯარისკაცებს მათ იდეებზე პოლონეთის მომავლის შესახებ. ამ საუბრებმა მომცეს მასალა, რომელსაც შეერთებულ შტატებში დაბრუნების შემდეგ გამოვიყენებ.

როცა მარშალი სტალინი ვინახულე, ვესაუბრაკე ჩემს შთაბეჭდილებებზე პოლონელთა არმიის შესახებ და პოლონელთა მდგომარეობაზე სსრ კავშირში. მარშალმა სტალინმა სთქვა, რომ პოლონეთი ფრიად დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს ევროპაში. მან განაცხადა, საბჭოთა კავშირის ინტერესს შეადგენს, რომ პოლონეთი ძლიერი იყოსო.

მე მსურს მადლობა მოვახსენო ბ-ნ მოლოტოვს მისი სტუმართმოყვარეობისათვის სსრ კავშირში ჩემი ყოფნის დროს, ჩემს ძველ მეგობარ ვანდა ვასილევსკაიას და პოლონელ პატრიოტთა კავშირს ჩემი გულითადი მიღებისათვის, აგრეთვე გენერალ ბერლინგს მისი სტუმართმოყვარეობისათვის სსრ კავშირში არსებულ პოლონელთა არმიაში ჩემი ყოფნის დროს. მადლობას ვუძღვნი პოლონელთა არმიის ოფიცრებს, ჯარისკაცებსა და სამხედრო მსახურ ქალებს გულითადი მიღებისათვის. ვუსურვებ მათ ბრძოლაში წარმატებებს და შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის საერთო ვტერზე მალე გამარჯვებას“. (საკადესი).

ქართული ლიტერატურის საღამოები მოსკოვში

(მოსკოვი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

ქართველი პოეტებისა და მწერლების შეხვედრა მოსკოველებთან გულთბილ მეგობრულ ბასიათს ატარებს. მოძმე ქართული ლიტერატურის წარმომადგენლებს ყველგან ხვდებიან როგორც დიდი ხნის ნაცნობ სასურველ სტუმრებს. სწორედ ასეთი იყო ქართული ლიტერატურის საღამო, რომელიც გაიმართა წითელი არმიის პოლიტსამმართველოს ნ კურსებზე.

საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის სახელით საღამო გახსნა ამხ. სკოსირევმა. კურსების ხელმძღვანელი და მოსწავლენი დიდი უურადღებით უსმენდნენ გამოსულ ქართველ პოეტებს, აგრეთვე მათი ნაწარმოებების მთარგმნელებს. საღამოზე შეკრებილნი გაეცნენ ა. აბაშელის, შ. აფხაიძის, ხარიტონ ეარდოშვილის, ვ. ფაბესკირიას, რ. გეფუტაძის, გ. ლეონიძის, ა. მაშაშვილის, ი. მოსაშვილის, მარიჯანის, ს. ჩიქოვანის, კ. ჭიუნაძის ნაწარმოებებს.

საღამოს შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელზეც გამოვიდნენ თბილისის ოპერის სოლისტები პ. ამირანაშვილი, გ. გოგიჩაძე და სხვები.

დიდი წარმატებით ჩაიარა აგრეთვე ფრუნზეს სახელობის წითელი არმიის ცენტრალურ სახლში გამართულმა საღამომ, რომელსაც ბევრი ქართველი ოფიცერი და წითელარმიელი დაესწრო. ამ საღამოზე, რომელიც მწერალთა კავშირის გამგეობის სახელით გახსნა მწერალმა პავლენკომ, ოფიცრებისა და მებრძოლებისადმი მისალმებით გამოვიდა ირაკლი აბაშიძე. თავისი ნაწარმოებები წაიკითხეს გ. აბაშიძემ, კ. კალაძემ, ა. მაშაშვილმა, ი. მოსაშვილმა, გ. ტაბიძემ. მათი ლექსების თარგმანები წაიკითხეს ანანიაშვილმა, დერკავინმა, ზვიაგინცევამ, კოჩეტკოვმა, პენკოვსკიმ, აგრეთვე მსახიობმა ბალაშოვმა.

დასასრულ გაიმართა ქართული მუსიკისა და მხატვრული კითხვის დიდი კონცერტი.

გუშინ მსახიობის სახლში გაიმართა ქართველი პოეტების მეგობრული შეხვედრა მოსკოველ მსახიობებთან. ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის სახალხო არტისტმა კაჩალოვმა, რომელმაც წაიკითხა ქართველ პოეტთა ნაწარმოებები. დამსწრეთა შორის იყვნენ მცირე თეატრის მსახიობი ლელინი, ვორკის სახელობის მოსკოვის სამხატვრო-აკადემიური თეატრის მსახიობი ლიგაინოვი, პოეტები ნიკოლოზ ტიხონოვი, სერგეი მიხალკოვი, ლეონიდ ლეონოვი, ვსევოლოდ ივნევი და სხვები.

საღამო მისასალმებელი სიტყვით გახსნა მწერალმა გლებოვმა.

ქართველ პოეტთა დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა მწერალმა აკადემიკოსმა კ. გამსახურდიამ. დარბაზი გაჭედილი იყო მოსკოვის არტისტთა წარმომადგენლებით, რომლებიც მხურვალედ მიეგებნენ საღამოზე გამოსულ აბაშიძეს, ი. გრიშაშვილს, კ. კალაძეს, მარიჯანს, საქართველოს სახალხო პოეტს ს. ტაბიძეს. მთარგმნელებმა სპასკიმ, დერკავინმა და ანანიაშვილმა, საქართველოს სახალხო არტისტმა ვ. ანჯაფარიძემ, მსახიობმა ბალაშოვმა გააცნეს დამსწრეთ ქართველი პოეტების ლექსები, რომლებიც შთაგონებულია დიდი სამამულო ომის გმირული დღეებით.

საღამო დამთავრდა სამხატვრო ნაწილით, რომელშიც გამოვიდნენ საქართველოს სახალხო არტისტები ე. სოხაძე, ნ. ცომაია, თ. ჭაკვაძე, თბილისის ოპერის სოლისტი ბ. კრავეიშვილი, საქართველოს ფილარმონიის პიანისტი ფ. მარუტაძე.

რადიოკომიტეტმა შაბათის მორიგი კონცერტი უძღვნა თბილისის ოპერის არტისტების ე. სოხაძისა და ნ. ცომაიას გამოსვლებს. მიკროფონთან გამოვიდნენ ვ. გოგიჩაძე, დ. ბაძრეკელი და სხვ., რომლებმაც შეასრულეს რუს, ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა საოპერო არიები. რადიოკომიტეტის ორკესტრმა შ. აზმაიფარაშვილის დირიჟორობით შეასრულა ნაწყვეტები ფალიაშვილის ოპერებიდან და ჩაიკოვსკის „გედის ტბიდან“. კონცერტი ტრანსლირებულ იქნა მოსკოვის რადიოქსელის მიერ.

* * *

მოსკოვის გაზეთები კვლავ დიდ ყურადღებას უთმობენ ქართული პოეზიის საღამოებს, ათაკვალებენ ქართველ პოეტთა **ლექსების** თარგმანებს.

დღეს ქართული ლიტერატურის ჩვენებისადმი ძიძღვნილი მასალებით გამოვიდა გაზეთი „მოსკოვსკი ბოლშევიკ“—საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ორგანო. გაზეთმა მოთავსა ბელინეკენტის სტატია „მზიური საქართველოს მგოსნები“, გალაკტიონ ტაბიძის, გეორგი ლეონიძის და იოსებ გრიშაშვილის ლექსების თარგმანები.

ილო მოსაშვილი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟარიარქის მოსაყდრის მიმართვა ალექსის წერილი სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის საბჭოთა კავშირის მარშალ ი. ბ. სტალინისადმი

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-შვილ!

ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიას უეცრად ეწია მძიმე განსაცდელი: გარდაიცვალა პატრიარქი **სერგი,** რომელიც 18 წელიწადს განაგებდა რუსეთის ეკლესიას.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თუ რა სიბრძნით უძღვებოდა იგი ამ ძნელ საკანონოს. თქვენ მოგეხსენებათ მისი სიყვარულიც სამშობლოსადმი, მისი პატრიოტიზმი, რომელიც მას აღაფრთოვანებდა ომიანობის განსაცდელთა დღეებიდან ეპოქაში. ჩვენ კი, მისი უახლოესი თანაშემწენი, ახლო ვიცნობთ თქვენდამი მისი უაღრესად გულწრფელი სიყვარულისა და თქვენდამი ერთგულების გრძნობას, როგორც ჩვენი დიდი კავშირის ხალხთა ბრძენი, ღვთივდადებული ბელადისადმი (ეს მისი მუდმივი გამოთქმა იყო). ეს გრძნობა განსაკუთრებული ძალით მეღავნდებოდა მასში თქვენთან პირადად გაცნობის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ჩვენ გინახულეთ თქვენ გასული წლის 4 სექტემბერს და რაც ჩვენთვის დაუვიწყარია. მე არაერთხელ მსმენია მისგან, რა მხურვალე გრძნობით მოიგონებდა იგი ამ შეხვედრას და რა მაღალ ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი თქვენს, ჩვენთვის უაღრესად ძვირფას, ყურადღებას ეკლესიის საჭიროებისადმი.

მისი გარდაცვალებით ჩვენი ეკლესია დაობლდა. განსვენებული პატრიარქის ანდერძით მე უფალმა წილად მარგუნა მეკისრნა პატრიარქის მოსაყდრის თანამდებობა.

ჩემი ცხოვრების, ეკლესიისადმი სამსახურის ჩემთვის ამ უაღრესად პასუხსაგებ მომენტში მოთხოვნილებას ვგრძნობ გამოვთქვა თქვენს წინაშე, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჩემი პირადი გრძნობანი.

ჩემს მომავალ მოღვაწეობაში უცვლელ და განუხრელ სახელმძღვანელოდ მექნება ის პრინციპები, რომლებითაც აღნიშნული იყო განსვენებული პატრიარქის საეკლესიო მოღვაწეობა: ერთის მხრივ საეკლესიო კანონთა და დადგენილებათა დაცვა და, მეორე მხრივ უცვლელი ერთგულება სამშობლოსადმი და მთავრობისადმი, რომელსაც თქვენ უდგეხართ სათავეში.

ვმოქმედებ რა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოსთან სრული ერთიანობით, მე განსვენებული პატრიარქის მიერ დაარსებულ უწმიდეს სინოდთან ერთად უზრუნველყოფილი ვიქნები შეცდომების დაშვებისა და არასწორი ნაბიჯებისაგან.

გთხოვთ თქვენ, ღრმად პატივცემულო და ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, მიიღოთ ჩემი ეს რწმუნება ისეთივე ნდობით, როგორითაც იგი გამოთქმულია ჩემს მიერ, და ერწმუნოთ თქვენდამი ღრმა სიყვარულისა და მადლობის გრძნობებს, რომლებითაც აღფრთოვანებული არიან ამერიდან ჩემს ხელმძღვანელობაში მყოფი ყველა საეკლესიო მუშაკნი.

ალექსი, ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტი, პატრიარქის მოსაყდრე.

მოსკოვი 1944 წლის 19 მაისი.

ახალგაზრდა პატრიოტის წერილები

თბილისის მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ფაბრიკის აგიტატორმა ამხ. ზინა სულავამ ფრონტიდან წერილი მიიღო. იწერებოდა ამავე ფაბრიკის ყოფილი მუშა, ახალგაზრდა პატრიოტი ამხ. შამილ კირილეს-ძე ცერცვაძე გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოთ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და შამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

შესვენების დროს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები ეზოში შეიკრიბნენ. ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ი. ბუჯიაშვილმა მათ უამბო, რომ სამშობლოს სახელოვანი შვილი ამხ. შამილ კირილეს-ძე ცერცვაძე ომამდე ფაბრიკაში ერთ-ერთ მოწინავე სტახანოველად ითვლებოდა. იგი კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო და კოლექტივში ავტორიტეტი მოიპოვა.

ამხ. ცერცვაძე დაიბადა 1921 წელს. დაამთავრა საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, შემდეგ კი კვალიფიციური დურგალი გახდა.

დირექტორმა სიტყვა რომ დაამთავრა, ფაბრიკის მუშამ ამხ. ხუბულურმა ჯიბიდან წერილი ამოიღო. იგი წინადღეს მიეღო ამხ. შამილისაგან.

— მხურვალე სალამი ამხანაგებს, — იწერებოდა შამილი, — მომიკითხეთ ყველა ჩემი ნაცნობი, განსაკუთრებით ჩემი ახლო მეგობრები — კომკავშირელები. შემატყობინეთ ჩვენი წარმოების მდგომარეობა. კარგად ვარ და შემდეგშიც კარგად ვიქნები. ამ წერილს მოწინავე ხაზზე, ყუმბარებისა და თოფ-ზარბაზნის გრიალში ვწერ. ჩამოვალ მხოლოდ მაშინ, როდესაც მტრის დამარცხებას საბოლოოდ დავაგვირგვინებთ.

ამ ფაბრიკის მრავალ მუშას მოსდის მისგან წერილები. ისინი გამსჭვალულია სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულით და ვერაგი მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილით. მუშებიც ხშირად სწერენ ამხ. შამილს წერილებს, რომლებშიც პირობას იძლევიან, რომ ყოველნაირად დაეხმარებიან სამშობლოსა და ფრონტს ვერაგი მტრის საბოლოო განადგურებაში.

მ. საკაარული



სტალინგრადის ქარხანა „კრასნი ოკტიაბრის“ ცენტრალურ ელექტროსადგურზე სტახანოვურად მუშაობს ლენინგრადელ მემონტაჟეთა ბრიგადა, რომელსაც პ. კ. ლაშჩევსკი ხელმძღვანელობს. იგი სისტემატურად 240-260 პროცენტით ასრულებს დავალებებს. სურათზე (წინა პლანზე): ლენინგრადელი ბრიგადირი პ. კ. ლაშჩევსკი.

ფოტო ა. ბრიანცევისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

გამოცდები კარგად დაიწყო

დაიწყო ყველაზე სერიოზული და საპასუხისმგებლო პეროდი სკოლის ცხოვრებაში— წლიური შემოწმებითი გამოცდები. გამოცდებმა უნდა გვიჩვენოს პირველი შედეგები იმ დიდი და მნიშვნელოვანი ღონისძიებისა, რომელიც ამ წლის თებერვალში გატარდა სკოლის ცხოვრებაში — ქალ-ვაჟთა ცალ-ცალკე სწავლების, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ხუთბალიანი სისტემის შემოღების, მოსწავლეთა ყოფა-ქცევის წესების დანერგვის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და სხვ.

გამოცდებს წინ უძღოდა სკოლის კოლექტივების სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა. ამ მუშაობის ნაყოფი გამომჟღავნდა გამოცდების პირველ დღესვე. სკოლებში დამყარებულია წესრიგი. დერეფნებსა და ეზოებში მოსწავლეთა მშობლები მორიგეობენ. მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან გამოცდებისათვის საჭირო ყველა სასკოლო ნივთებით.

საგამოცდო ბილეთები შედგენილია დაკვირვებით, მთელი განვლილი მასალის გათვალისწინებით. მასწავლებლები ღრმად, საფუძვლიანად არკვევენ მოსწავლეთა ცოდნას და ობიექტურად აფასებენ მას.

პირველ დღეს თბილისის სკოლების, X კლასებში წერითი გამოცდა ჩატარდა მშობლიურ ლიტერატურაში. დაბურული კონვერტი თემებით, რომლებიც წინასწარ იქნა შედგენილი, გამოცდების დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე გახსნეს. ქართული სკოლებისათვის გათვალისწინებულია შემდეგი თემები: „ქალთა სახეები ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“ და „პატრიოტიზმი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში“; რუსული სკოლებისათვის: — „რუსი ხალხის გმირობა სამშობლოსათვის ბრძოლაში“ ლ. ტოლსტოის „ომისა და მშვიდობის“ და დიდი სამამულო ომის მასალების მიხედვით და „გორკის რევოლუციური ჰუმანიზმი“; სომხური სკოლებისათვის— „სამოქალაქო ომის ასახვა ზორიანის შემოქმედებაში“ და „ქალთა სახეები სომხურ ზეატერულ ლიტერატურაში“.

წერითი გამოცდების წინასწარმა შედეგებმა გვიჩვენეს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი დაუფლებულია წერის კულტურას, ეხერხება თემის გაშლა, აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა.

გამოცდებმა გამოამჟღავნეს აგრეთვე ის დიდი ეშუამობა, რაც ჩატარდა არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად. ამ მხრივ აღსანიშნავია ქალთა მე-8 რუსული სკოლა, მე-11 სომხური სკოლა და სხვ. დაბვეწილი მეტყველება, ქართული გრამატიკის კარგი ცოდნა გვიჩვენეს ამ სკოლების მოსწავლეებმა.

როგორც აღვნიშნე, თბილისის სკოლების დიდი ნაწილი მომზადებული შეხვდა წლიურ შემოწმებითს გამოცდებს. მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს ამ მხრივ ვაჟთა 24-ე, 1-ლი, მე-2, მე-17, ქალთა 1-ლი, მე-7, მე-19, მე-20, მე-5 მე-6 სკოლები.

გამოცდებს ესწრებიან პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, განათლების სახალხო კომისარიატისა და სახალხო განათლების განყოფილებათა მუშაკები, აკადემიკოსები და პროფესორები. მეცნიერ მუშაკთა დასწრება გამოცდებზე ჩვენთვის ორი მხრივ არის საინტერესო. ჯერ ერთი, ისინი გვეტყვიან თავიანთ აზრს გამოცდების მიმდინარეობაზე და, მეორე, დაეხმარებიან მოსწავლეებს პროფესიათა არჩევაში, ამ მიზნით გამოცდების დამთავრებისას მოეწყობა აკადემიკოსებისა და პროფესორების საუბრები X კლასების მოსწავლეებთან.

კარგად დაიწყეს შემოწმებითი გამოცდები თბილისის სკოლებმა. გამოცდებმა სავსებით აჩვენა, რომ ეს საქმე ადგილზე ეყრება. ეს ადასტურებს, რომ ბევრ სკოლაში ეფექტურად ებრძოლნენ ფორმალიზმს, ბიუროკრატიზმს, ფორმალურ ანგარიშებს, ბევრ ადგილას ეფექტურად ებრძოლნენ ბოროტებებს, ბევრ ადგილას ეფექტურად ებრძოლნენ ბოროტებებს, ბევრ ადგილას ეფექტურად ებრძოლნენ ბოროტებებს.

ბ. ჯაფარიძე

დეპეშები

საომარი მოქმედება იტალიაში

ალჟირი, 21 მაისი (საკადესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბმა გამოაცხადა, რომ ამერიკის მე-5 არმიის ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი ფონდი (გაეტის ჩრდილო-დასავლეთით). ფონდის დაკავების შემდეგ გერმანიის ჯარებს, რომლებიც სან